[ხ]უთშაბათი, ივლისის 4 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 119.

# ჩვენი ქვეყანა

წელიწადი მესამე.

**რედაქცია**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი;** ერთი თვით [...] მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

**„ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ შემოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.**

შაბათს 5 ივლისს ახალი სტილით სოფ. გოჩა-ჯიხაიში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის ექიმის

ნიკოლოზ (კოლია) სოლომონის ძის

**ლოლობერიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ: ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ დამწუხრებულნი: მამა სოლომონ გიორგის ძე ლოლობერიძე, ძმები გიორგი და დათიკო და მარო და რძალი მარუსია ნიჟარაძის ასული ლოლობერიძისა.

**ვასილ ალექსის ძე ბოლქვაძის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს გულდამწვარი მეუღლე მისი ჰონჯი (სონია); მამა ალექსი, დედა სოფიო, სიმამრი გრიგოლ და სიდედრი კეკელა შენგელაიები; ძმები სპირიდონ, ნესტორ და სოლომონ ბოლქვაძეები; დები ანეტა, მინადორა და ძაძუ; რძლები ალექსანდრა (ძაბა) და ქენია; სიძეები მღ. მელიტონ კეიდია და პროვიზორი იოსებ ნარეშელაშვილი; ცოლის ძმა დავით შენგელაია. მიცვალებულის დასაფლავება მოხდება სოფ. ჯალირაში, შაბათს, 5 ივლისს, ნაშუადღევს. 1—1

**საფრანგეთის გემთა მიმოსვლის საზოგადოება**

**„პაკე“** ამით აცხადებს, საზღვარგარეთ საქონლის გამგზავნელთა საყურადღებოთ რომ გემი **„სირკასი“** მოვა დაახლოვებით ერთ კვირაში და მიიღებს ფოთის და ბათომის ნავთსადგურებიდან, საზღვარგარეთ წასაღებათ ყოველგვარ საქონელს და აგრეთვე მგზავრებს.

**პატივისცემით საზოგადოების აგენტი შ. ა. მათ.**

**27 ივნისს 1919 წ. ქუთაისში დავკარგე**

მოწმობა, რომელიც მიღებული მაქვს სამხედრო უწყებისაგან 19 ივნისს 1919 წ. № 469. მნახველს ვთხოვ გადმომცეს. მისამართი: გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია.

**ალექსანდრე ტუკვაძე.**

**ექიმი მ. ე. ნემსაძე**

ღებულობს შინაგან და ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ. (609 და 914 შეხაპუნება) ყოველ დღე დილის 9—12 და სად. 5—7-მდე. თბილისის ქუჩა. მხეიძის და ნარეშელაშვილის აფთიაქის თავზე.

## ქუთაისი. ივლისის 4

**მომენტისთვის.** საქართველოს ცაზე, დღევანდელ მსოფლიო ქარტეხილის დროს, მოწმენდილია და ხან კი შავ ღრუბლებს მოუყრია თავი.

ნავი ჩვენი ბედშავი ქვეყნის აბობოქრებულ ზღვის ტალღებში ცურაობს უაფროდ და ზვირთები მას შთანთქას უპირებენ.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში რამოდენჯერმე ადგა საქართველო საშინელი უფსკრულის წინაშე და, საბედნიეროთ, იგი ამ უფსკრულში არ გადავარდნილა.

ეს იმდენათ ჩვენი ქვეყნის ზღვაში მცურავ ნავის მესაჭის სიმარჯვით და გამჭრიახობით არ აიხსნება, რამდენათ ბედნიერი შემთხვევებით, რაც მას ფათერაკს და განსაცდელს თავიდან აშორებდა.

დღესაც განუზომელია საფრთხე და საშიშროება რომელშიაც ჩვენი სამშობლოა ჩავარდნილი.

როგორც ვიცით, მთელი ქვეყნის ყურადღება, ამ მომენტში, პარიზის კონფერენციისაკენ არის მიპყრობილი;

ამ კონფერენციას, რომელსაც დირიჟორობს დღევანდელ უმაგალითო ომში გამარჯვებული ოთხთა შეთანხმების სახელმწიფონი, ვალათ აწევს ცეცხლის ალში გახვეული კაცობრიობის დაწყნარება: მშვიდობიანობის ჩამოგდება, წესის და ნორმალურ მოქალაქობრივი ცხოვრებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

მანვე უნდა გადასწყვიტოს ომის პროცესში, თუ მას შემდეგ წარმოშობილ პატარა სახელმწიფოებრივ ერთეულთა და მათ შორის საქართველოს ბედი.

ამ პატარა, ახლად შექნილ სახელმწიფოების წარმომადგენელნი და დიპლომატია არაჩვეულებრივ ენერგიას და ძალ-ღონეს ახარჯავს, რათა თავის ქვეყნის საკითხი სასურველათ იქნას გადაჭრილი მთელი კაცობრიობის ბედის გამგე კონფერენციის მიერ.

ჩვენ ვიცით, რომ პოლონეთის, ფინეთის, ლიტვის და, ასე წარმოიდგინეთ, სომხეთის დამოუკიდებულობაც უზრუნველ-ყოფილი იქნება პარიზის კონფერენციისაგან.

ამ ქვეყნების საქმე ამ მხრივ მოწყობილათ უნდა ჩაითვალოს. მათმა მთავრობამ და წარმომადგენლობამ უცხოეთში შესძლეს, რეალური, დროს. შესაფერი პოლიტიკის წარმოებით წყალობით, ღვაწლსა ხურებიათ ანტანტის ყურადღება, რომელიც მომხრე შეიქნა იცნოს მათი დამოუკიდებელი არსებობა და ამისათვის ყოველნაირ დახმარებასაც კი ჰპირდება მათ.

ყველაზე უფრო ცუდ პირობებში ამ ჟამათ საქართველო იმყოფება.

ჩვენ, რომელთაც იმ თავიდანვე, დაგვჩემდა ახირებული თვისება მოგვეწყო მთელი კაცობრიობის ცხოვრება, იმდენათ სუსტი ღონის მქონე და უგვანონი გამოვდექით, რომ ჩვენი პატარა ქვეყნის საარსებო საკითხი მისი დამოუკიდებლობის ცნობა ევროპის მიერ, ვერ მოვაგვარეთ.

ამის მიზეზი, რასაკვირველია, შეიძლება ბევრი რამ იყოს, მაგრამ, მთავარი მიზეზი, რომელიც ყველა დანარჩენს ჩრდილავს არის ჩვენი ქვეყნის მმართველ პარტიის ბელადებიდან შემდგარ მთავრობის უტოპიური საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც, უნდა ითქვას აუცილებლათ, მათ მიერ აღიარებულ და გაღმერთებულ სოციალურ უტოპიზმიდან, სოციალიზმიდან, გამომდინარეობს ყოველ ეჭვს გარეშე.

მსოფლიო ომი დასრულდა. გაიმარჯვა ერთმა მხარემ, რომელიც შეუდგა თავის პლანების განხორციელებას, რომელშიაც სხვათაშორის შედის დამარცხებულ ქვეყნებში ანთებულ სამოქალაქო ცეცხლის ჩაქრობა, რათა ხალხთა აჯანყებამ არ შთანთქას და წალეკოს კაცობრიობის მიერ მრავალ წლის განმავლობაში შექმნილი ნივთიერი, კულტურული და ზნეობრივი ღირებულობა.

ყველა აშკარათ ხედავს ამ რეალურ ძალას დღეს, რომ ძლევა-მოსილია და ბატონობს და კიდევაც ემორჩილება მას.

ჩვენ კი, პოლიტიკური უტოპიზმით შეპყრობილი, ჯერ კიდევ არ გამოვრკვეულვართ, ერთი სწორი და უზიგზაგო პოლიტიკური ხაზი ვერ ამოგვირჩევია.

საქართველოს სოციალისტური მთავრობის დღევანდელი საგარეო და საშინაო პოლიტიკა ნაანგარიშევია პრობლემატიულ მოვლენაზე, სოციალურ რევოლუციაზე, მას რომ ღრმათ სწამს და ჩვენ-კი მეტათ საეჭვოთ მიგვაჩნია.

ამიტომაა, რომ საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენელთ, წერეთელს და ჩხეიძეს, როგორც არსებულ საზოგადოების დანგრევის აპოლოგეტებს, ანგარიშს არ უწევენ და მათ მუშაობს უცხოეთში ნაყოფი არ გამოაქვს.

იმათ უფრო სოციალისტურ წრეებში და კონგრესებზე ყოფნა და სიტყვების წარმოსთქმა ეხერხებათ და ახარებთ დათავიანთ, ეხლა გამოუსადეგარ და უსარგებლო სიტყვებს ათარგმნიებენ და წინასიტყვების დაწერას ემუდარებიან თავიანთ ფრანგ ამხანაგს.

ერთი სიტყვით უტოპიური მოძღვრების მიმდევარი საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელნი, რეალურ ევროპის ნაცვლათ, ყოველ ძალა მოკლებულ, გაწბილებულ და უტოპიურ ევროპის [...] სწორეთ ამან გამოიწვია მათი დაშორება დღევანდელ რეალურ ევროპის გამომხატველ ძალასთან პარიზის კონფერენციისაგან. ჩვენ ვშიშობთ, რომ ამ გარემოებამ ბოლო არ მოუღოს, არა მარტო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, არამედ მის დღევანდელ ფიზიკურ ყოფასაც.

**ალ. თორაძე.**

## ინგლისური პრესა.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

პარიზიდან იუწყებიან, რომ ხუთშაბათს სამთა საბჭომ კომისია დანიშნა ზარაში, დაკილში მდგარ გერმანიის ფლოტის მდგარ გერმანიის ფლოტის მდგომარეობის გამოსარკვევად. ა. დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა უნდა გამოარკვიოს თუ რამდენად დიდია გერმანიის დანიშნული, როგორ უნდა დაისაჯოს და რამდენად უნდა გადაახდევინოს გერმანიას.

თუ საზავო ხელშეკრულებას შაბათს მოაწერენ ხელს, მაშინ, როგორც ამბობენ, ვილსონი პარიზიდან წავა და იმავე საღამოს ამერიკაში გაემგზავრება.

შაბათს ოთხთა საბჭომ განიხილა ავსტრიისათვის გადასაცემი საზავო ხელშეკრულება და აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ რა და რა კომიტეტები უნდა იქნეს არჩეული ხელშეკრულების განსახორციელებლად.

პოლონელები და უკრაინელები განაგრძობენ ერთი ერთმანეთთან ბრძოლას.

## ინგლისის ჯარების უფროსის გენ. კორის განცხადება.

თბილისში მყოფ ინგლისის ჯარის უფროსის გენ. კორის სახელით მაიორ კენგშოუმ განუცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწეს ბ. ჰიჰინაძეს, რომ ჩვენი გაზეთის № 135 მოთავსებული და შემდეგ გაზეთ „გრუზიაში“ გადაბეჭდილი ცნობა ქ. გუმბრში ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება.

მაიორ კინგ-შოუმ ამასთანავე განაცხადა, რომ საზავო კონფერენციას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შესახებ რომ რაიმე დადგენილება გამოეტანა უპირველესად ყოვლისა ეცნობებოდა თფილისში მყოფ ინგლისის ჯარების უფროსს.

## ახალი კაბინეტი გერმანიაში

როსტოვის გაზეთ „ჟიზნი“ თიბათვის 27-ს თარიღით შემდეგს იტყობინება:

სულ ახლო წარსულში შემდგარი ბაუერის კაბინეტი ისე გადადგა.

ახალი კაბინეტი შეადგინა შემარჯვენე სოციალ-დემოკრატმა დავიდმა, ერცბერგისა და ბენსტორფის მეთაურობით (დამოუკ. ლიბერალი, ამერიკაში ელჩად ნამყოფი).

ეკატერინოდარის გაზეთ „ვოლნაია კუბან“ იმავე თარიღის გაზეთში ახალ მინისტრთა სია აქვს მოთავსებული.

ცნობა ახალ კაბინეტის შესახებ მიღებული აქვთ ლიონიდან მოსულ რადიოს [...].

„ვეიმარიდან მოსულ ცნობის თანახმად ახალ კაბინეტში შევიდნენ თავმჯდომარედ დავიდი, ფინანსთა მინ.—დარიბურგი; იუსტიციის ზანდერჰეიმერი; შინაგან საქმეთა—პრეისი; სასურსათო მინისტრი—შმიდტი; სახალხო მეურნეობის—ვისელი; სახალხო შრომის—ბაუერი; საგარეო საქმეთა—ბერნსდორფი; ახალშენებისა—ბილი; სახალხო თავდაცვისა—ნოსკე; ფოსტა-ტელეგრაფის—გლობერსტი და უპორთფელო მინისტრად ჰერცბერგერი.

## ახალი ამბავი.

**ჩვენი გაზეთი** ასოთ-ამწყობების გამოწვეული კონფლიქტის გამო რამდენიმე დღით შეჩერებული იყო. გაზეთი დღეიდან ყოველდღიურად გამოვა.

✦ **საგაზეთო ქაღალდისა და ყოველგვარი მასალების გაძვირების გამო** 1 ივლისიდან ჩვენი გაზეთის ცალკე ნომერი ეღირება მანეთ-ნახევარი. ხელის მომწერლებისათვის თვიურად კი 30 მანეთი.

✦ **პარტიული კონფერენცია.** ივლისის 5-ს ქალაქ თბილისში გაიხსნება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენცია. მომხსენებლები იქნებიან: სპირიდონ კედია, ნიკო ნიკოლაძე, გ. გვაზავა, ექვთ. თაყაიშვილი, ი. მაჭავარიანი, ა. ასათიანი, სერ. დანელია, რაფ. ინგილო, პეტ. სურგულაძე, ი. ლორთქიფანიძე და პ. გოთუა.

✦ **ბოლშევიკების დატუსაღება.** 29 ივნისს, ღამით ქუთაისში დააპატიმრეს: მიხა ცხაკაია, მიშა ოკუჯავა, მამია ორახელაშვილი, საშა გაჩეჩილაძე დავით ლორთქიფანიძე და სტ. სვ. ჩიხლაძე.

✦ **პავლე იაშვილის გადასახლება.** მგოსანი პავლე იაშვილი უკანასკნელი გამოსვლების გამო ადმინისტრატიული წესით ქუთაისიდან გადაასახლეს. ამის გამო ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა საპროტესტო ფურცელი გამოუშვეს და მოითხოვდენ მის უკანვე დაბრუნებას.

✦ **შალვაკარმელი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, „ოცნებო ხეივანში“ პარასკევ საღამოსეირნობის გამმართველის საყურადღებო რომ იგი მის დაუკითხავად გამოაცხადეს აფიშაში. იგი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ამ საღამოში და მის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე გამოუცხადებლობის გამო.

✦ **საეკლესიო სანთლის წარმოება.** უკვე ჩადგა ნორმალურ კალაპოტში, სანთელიც ბლომად მზადდება ქარხანაში, რომელიც ქუთაისში გელათიდან გადმოტანილი და საწყობი თავის ადგილზედვე მოქმედობს და ეკლესიებისა კერძო პირებსაც აქვს ნება წონით იყიდონ. კერძო ვაჭრობა დღემდი აკრძალული იყო სანთლის სიცოტავის გამო.

✦ **ი. ოცხელ სახელობის სტიპენდია.** ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაციისაგან განსვენებული იოსებ ოცხელის სახელის სასტიპენდიო ფონდის გასაძლიერებლად მიღებულ იქნა ხუთას ხუთი მანეთი (505 მან).

✦ **საეპიდემიო გადასახადი.** ამას წინად ქალაქის გამგეობის წევრმა ალ. ჯაფარიძემ წყალტუბოში ინახულა მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნოე ჟორდანია და სთხოვა, რომ დამფუძნებელ კრებას დაჩქარებით მიეღო ქუთაისის ქალაქის საბჭოს მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი საეპიდემიო გადასახადის შემოღების შესახებ. ნ. ჟორდანია დაჰპირდა დახმარებას და თბილისში დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ასეთი დეპეშა უგზავნა: „მიიღეთ ზომები, რათა ქუთაისის ქალაქის საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი ეპიდემიური გადასახადის შემოღების შესახებ დაჩქარებით გატარებულ იქნას.

ნ. ჟორდანია.

✦ **საბჭოს ფინანსიური კომისიის სხდომა.** დღეს საღამოს 7-დ საათზე ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში დანიშნულია სხდომა ქალაქის საბჭოს ფინანსიური კომისიის. ამ სხდომაზე განხილულ იქნება ქალაქის აფთიაქების მოსამსახურეების მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ.

✦ **ი. მაჭავარიანის ჩამოსვლა.** ქუთაისში ჩამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი ბ. იოსებ მაჭავარიანი.

✦ **ბავშვის პოვნა.** ვორდოვის შესახვევში, ქუჩაზე იპოვეს ერთი კვირის დედრობითი სქესის უცნობი ბავშვი, ვინაიდან ქუთაისში თავშესაფარი არ მოიპოვება ბავშვი იმყოფება შუა უბნის კომისარიატში. შუა უბნის კომისარი სთხოვს მსურველებს ბავშვი იშვილონ და აღზარდონ.

✦ **საერობო წვრილი ერთეულები.** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე დაამტკიცა წვრილი ერთეულების არჩევნები. გაუქმებულ იქნა მხოლოდ კურსების თემის არჩევნები. საწირის, რაიონის პოგნარის, კიცნაველეთის, ზეკარის და ოფურჩხეთის თემებში არჩევნები მოხდება აგვისტოს პირველ რიცხვებში.

## ქ. ზესტაფონი.

1906 წელში ძველი რეაქციის მეოხებით აქაური გადამწვარი თეატრის შენობის შეკეთებას აღარა ეშველა-რა. ამის დამაბრკოლებელ მიზეზებათ ძალიან ბევრს გვისახელებენ; მაგრამ, რომელია მათში მართალი ალახმა უწყის! მარტო ერთი ცარიელი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები, სრულებითაც ვერავის მოხიბლავს... აქ ყველაზე უფრო საჭიროა საქმისადმი სიერთგულე და არა სხვა!

— ქუჩებიც არ არის [illegible] მოკირწყლული და, ამის გამო, მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელია. ცხადია, რომ ქალაქს მაგვარი ქუჩები არ შეფერის და ნეტავ რაა იმის მიზეზი, რომ ამის საქმე არ მოგვარდა?! მოდუნების დრო აღარ არის, საჭიროა სიფხიზლე!!

— შემოზიდულ სანოვაგეს, ფასი (ნიხრი) დაადვეს და ადგილობრივს კი არა. ეს იწყინეს და აღარა შემოაქვსთ-რა.

— აგერ 5—6 წელია, რაც აქ „აბანო“ დაიწყეს; მაგრამ მის მოთავსებას ვერ მოვესწარით.

— აფთიაქებში წამლის სიძვირე აღარ იკითხება: გუშინ თუ 20 მანეთი ფასობდა რომელიმე დარგის წამალი, იგივე დღეს 4—5 თუმანია. იკითხოს საცოდავმა უფულო ხალხმა, რომ მისთვის არ გათენებულა?!

— დღეს სასწავლებლები საკმაოა; მაგრამ მოწაფეების მშობლები ცუდათ გრძნობს თავს. ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი მოწაფეებთაგანი არ ემორჩილებიან თავიანთ შინა მყოფებს და თავის ნებაზე გადადიან ყირას. აქ თუ ვინაა დამნაშავე, თქვენც მიხვდებით!..

— ახალ მოდის გადამდებმა სახადმა როგორც საზოგადოთ, მუსრი გაავლო ყველას; მაგრამ ექიმებმა თავის თავსაც ვერა უშველა-რა. ხალხი ამის გამო განუსაზღვრელ ფიქრებსაა მიცემული და რა გზას დაადგეს, არავინ უწყის.

ეტი გეწაძე.

## გენ. ნათიშვილის მოკვლა.

„კავკაზსკოე სლოვოს“ ბათომიდან ატყობინებენ შემდეგ ცნობებს გენ. ნათიშვილის მოკვლის თაობაზე: „საღამოს 8 ნახევარ საათზე გენერალი მიდიოდა ზღვის პირას, საქალაქო ბულვარის უკანა ხეივანში. მასთან იყვნენ მისი ცოლი და ადიუტანტი. უეცრივ ბუჩქებიდან გამოვიდა უცნობი და დაიწყო მაუზერის სროლა. როცა გენერალი დაეცა, კიდევ რამდენჯერმე ესროლა ტყვია. ამათში ექვსი ტყვია მოხვდა გენ. ნათიშვილს და სამი ტყვიით მოჰკლა ადიუტანტი ფილიპოვი. ნათიშვილს ჭრილობანი ჰქონდა გულში, მკერდზე და სახეზე. ათი ტყვია რომ გაისროლა მკვლელმა, გამოსცვალა „ობოიმა“. მაუზერი მკვლელმა იქვე გადააგდო. შემთხვევით ერთი ტყვიით დაჭრილია ვინმე გამვლელი. სროლის შემდეგ, რომ მოგროვდა ხალხი, ორივე მოკლული ნახეს. მკვლელის ნიშან-წყალი ჩაიყლაპა. იმ ღამეს მილიცია და ინგლისელების პატრულები გაფაციცებით ეძებდნენ მკვლელს, მაგრამ კვალი ვერ მიაგნეს. კვირას, ივნისის 29-სთვის დანიშნული იყო ამავე ბულვარზე ყულაბებით ფულის შეგროვება ნათიშვილის კორპუსის სასარგებლოდ, მაგრამ მკვლელობის გამო იგი გადაიდო.

## აზერბაიჯანი

**საქართველოს დელეგაცია ბაქოში.** 30 თიბათვეს თბილისიდან ბაქოში ჩავიდა საქართველოს დელეგაცია ბ. ნოე რამიშვილის მეთაურობით, საქართველო-აზერბაიჯანს შორის დადებულ ხელშეკრულების ინიციატივისათვის და ამ ხელშეკრულების დეტალების შესამუშავებლად ბ. ნ. რამიშვილის დელეგაციაში იმყოფებიან გენ. ოდიშელიძე და დამფუძნებელ კრების წევრი ალექსანდრე ასათიანი. სადგურზე საქართველოს დელეგაციას შეხვდნენ აზერბეიჯანის მინისტრი მელიქ ასლანოვი, ქალაქის უმფროსი ვეხიროვი საპატიო დარაჯით საქართველოს საელჩოს სრული შემადგენლობისა ბ-ნ ნ. ქარცივაძის მეთაურობით.

**დამატებითი მობილიზაცია.** ბაქოს სამხედრო ჯარის მომერებმა. საბჭომ ახალი დამატებითი მობილიზაცია გამოაცხადა. გაწვეულნი არიან 1894, 1855, 1896, 1897. 1898, 1899 წლებში დაბადებული მაჰმადიანნი.

**აზერბაიჯანის საზავო დელეგაციის გამგზავრება.** რომიდგან მაისის 5 ის თარიღით აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარის თოფჩიბაშევისაგან აზერბაიჯანის მთავრობამ მიიღო წერილი, რაშიაც იგი სწერს დელეგაციის სტამბოლიდან გამგზავრებას. აპრილის 22 დელეგაცია იტალიის გემით გაემგზავრა სალონიკ, ათინა, მესინაზე ნეაპოლში, საიდაც ჩავიდა აპრილის 30-ს მაისის 2-ს დელეგატები რომში იყვნენ, საიდანაც მაისის 4-ს პარიზში გაემგზავრნენ. გზიდან ისინი დიდ სალამს უძღვნიდნენ აზერბაიჯანს და იმედს გამოსთქვამდნენ, რომ დაბრუნებისას ჩამოუტანენ სასიხარულო ამბავს ევროპის მიერ აზერბაიჯანის ალიარების შესახებ.

**ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი.** ამიერ კავკასიის კერძო უნივერსიტეტის მზრუნველმა საბჭომ დაადგინა მომავალ სამოსწავლო წლიდან ისტორიკ-ფილოლოგიური ფაკულტეტი და ყველა კურსები გარდა სამკურნალოსი. ამ რიგად ამიერ კავკასიის უნივერსიტეტში იქნება მხოლოდ ორი ფაკულტეტი საბუნებისმეტყველო და სამკურნალოს პირველი კურსი.

## სომხეთის ახალი მთავრობა.

ივნისის 24-ს შესდგა სომხ. მთავრობის ახალი კაბინეტი მინისტრთა თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი ა. ი. ხატისოვი, სახალხო განათლების მინისტრი ს. ტიგრანიანი, იუსტიციის მინისტრი ა. ჩაშკიანი, ფინანსთა სამინისტროს გამგე მ. ჯაგეთიანი სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროებში ცვლილება არ მომხდარა. სახალხო მზრუნველობისა და სასურსათო სამინისტრო გაერთიანდა ს. ტოროსიანის ხელში. ახალ კაბინეტში გადაწყვეტილია შეიყვანონ დასავლეთ სომხების წარმომადგენელნი, მათ შესთავაზეს შინაგან საქმეთა, მზრუნველობის და განათლების მინისტრთა ამხანაგების ადგილი. დასავლეთ სომხეთის წარმომადგენლებთან სწარმოებს მოლაპარაკება.

ძველი მთავრობის უკანასკნელი სხდომა მოხდა ივნისის 23-ს, თავმჯდომარემ ხატისოვმა სიტყვით მიჰმართა მთავრობიდან გასულ მინისტრებს და მოუწოდა მათ სახელმწიფოებრივ მუშაობის სარბიელზე შეთანხმებულ მოქმედებისაკენ.

## რად ჩამოხვედი?

საჩუქარი ბ—ის.

შემოდგომის ქარიანი შუადღე!

სადგური.

იქ ჩვენ პირველად შეხვდით ერთმანეთს.

იმავე მკრთალი შემოდგომის ცივი მზის დახრისას დაიწვა სული განცდის იდუმალებში. უსიტყვო იყო ლოცვა ჩემი.

შენს მზერაში იმლებოდა ფარული სურვილი, შენი სათუთი გრძნობის და თვითონ შიშიანი, იყავ ჩუმი, ვით ყრუ ზამთარში ეკლესიის ზარის ძახილი, სოფლის სივრცეზე შუაღამისას.

შენ სულ მცირე ხანს დარჩი ჩვენს ქალაქში.

გიხმეს, ნება არ დაგრთეს.

გაგიჯავრეს უცნაური ბრძანებით.

შენ გძულდა შენიანთა მიერ შექმნილი კანონი; მაგრამ იყავ მისი მორჩილი.

სიტყვით სდუმდი მხოლოდ სახის საუბარით ქმნიდი მწუხარე განცდას.

წახველ.

დარჩა მხოლოდ აჩრდილი შენი რომლის წინაშე შემოდგომის ცივ მზის დახრისას იდუმალ ლოცვას ვიტყოდი.

მას შემდგომ სწრაფი დროის ხანგძლივობამ მრავალ რამეებზე იმეტყველა.

ორი წელი.

საქართველო და ჩრდილოეთის ცივი სახე შენ აქ, საყვარელ კუთხის ყრუ ყოფაში და მე ჩრდილოეთის მღელვარე დღე ღამის მუდმივი სტუმარი.

თითქოს უნდა წაშლილიყო შენი სახე ჩემს მოგონებაში, რადგანაც ვიწყე შენება საკუთარი ყოფის ლამაზ შენობას.

მძიმე იყო-ეს წუთი.

მაგრამ..

შენ ისევ ჩამოხვედი.

მოულოდნელი იყო შენთან შეხვედრა. შორიდან გიცან. კვლავ აღიმართე ჩემს წინაშე წარსულში ნაგრძნობ შვენებით.

შენ გსურდა ჩემი ნახვა.

შევხვდით.

შენ იყავ სულ სხვა, უფრო თამამი პირდაპირი. შიშიანობა განსვენებულა შენს გაშლილ სითამამეში.

ღამეა. წერილს გწერ.

„მე ვფიქრობდი ცხოვრების შექნას. საკითხი გადაიჭრა. მაგრამ შენ ღამიბრუნდი შემოიჭერ ჩემს განცდაში და აამღელვარე იგი. რა გსურს ჩემგან? შენ ხომ „უცნაური“ კანონების მორჩილი ხარ, და შესძლებ კი დაამსხვრიო ის კანონები? მე მინდა ვიხილო შენი ახალი სითამამე. მაჩვენე იგი და მეც დავამსხვრევ ჩემ „შენობის“ ახალ საფუძვლებს. და თუ ეს ვერ შესძელ, ჩემო კარგო, მიპასუხე: რად ჩამოხვედი?

მ. ღვამიჩავა.

## კორესპონდენცია.

**დ. ბაღდათი.** ინტელიგენციის ენერგიულმა მუშაობამ საზოგადოებისათვის კულტურულ ასპარეზზე ნაყოფი გამოიღო და ამ ნაყოფს ყველა ამჩნევს, რადგანაც ის არც ისე მცირეა, რომ ვინმემ ვერ შეამჩნიოს; ეს პირველი მართლაც სერიოზული ცდაა და შემდეგში ეს მუშაობა ინტელიგენციისა, რომელსაც ჩემის აზრით კიდევ უფრო ფართო ხასიათი უნდა მიეცეს, კიდევ მეტ ნაყოფს მოგვცემს რეზუმეში. და ყველა ვისაც მხედველობითი ორგანო არ მტყუნობს დაინახავს ამ ღვაწლს და შესაფერად შეაფასებს მათ ნაყოფიერ მუშაობას...

22 ივნისს დ. ბაღდადში გაიმართა წარმოდგენა; წარმოდგენისათვის შენობა უკვე დაქირავებულია და შენობის მხრივ საქმე კარგათ არის მოგვარებული; წარმოდგენის შენობა შიგნიდან სუფთად არის მორთული და ყველაფერი თავის რიგზეა დაწყობილი, სკამები უკვე შეძენილი არის საკუთარის თანხით, ერთის სიტყვით ყველაფერი სასურველათ არის დაწყობილი, და ეს ყველაფერი მიეწერება ბაღდათის ინტელიგენციის ენერგიულ მუშაობას და ღვაწლს. წარმოდგენილი იქმნა „შურისძიება“ და „უბედური დღე“, რაც შეეხება წარმომდგენლებს ყველანი კარგათ იყვნენ მომზადებული და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვეს მსმენელებზე. ყველაზე საინტერესოთ თამაშობდა ქ-ნი ქსენია ჯაფარიძისა, რომელმაც ზედმიწევნით კარგათ შეასრულა „შურისძიებიდან“ მეუღლის როლი. ქ-ნი ქსენია დიდის ყურადღებითა და გულმოდგინებით ასრულებდა თავის როლს და გამარჯვებული დარჩა. მას შეუძლია ღირსეული სამსახური გაუწიოს განახლებულ ქართულ თეატრს თავისი ნიჭით.

რაც შეეხება დანარჩენ მოთამაშეებს ყველანი მონდომებულათ თამაშობდნენ, მაგრამ უნდა ითქვას მათ თამაშობაში არ არის რაც აუცილებელია სცენაზე მოთამაშესათვის — გამბედაობა, რასაკვირველია მე ამითი არ მინდა მათ წუნი დავდო, როდესაც მათ თამაშობს თვალყურს ადევნებ ხედავ, რომ მონდომებულნი არიან, მაგრამ ამასთანავე მონდომებასთან ერთად სცენაზე მომუშავეთათვის აუცილებელია—თავისუფლება მიხვრა-მოხვრაში და ყველაზე საჭირო გამბედაობა უამისოთ რაც უნდა მონდომოთ და ამისათვის დიდი სურვილი გქონდესთ მაინც დამარცხებული გამოხვალთ. ეს ყველაფერი მალე გაივლის, რადგან ყველანი ახალნი არიან და შემდეგში ენერგიული მუშაობით ყველანი თავის ნაკლს უსათუოდ გაასწორებენ... ვაჟები თავის მხრით გულმოდგინეთ თამაშობდნენ და ეს იქიდანაც სჩანს, რომ ყველამ თავისი როლები ზედმიწევნით კარგათ იცოდნენ. აქაც უნდა ითქვას, რომ თამაშობის დროს ვაჟებს აკლიათ გრძნობის სიწრფელე სახეების გამოხატვაში. ყველაზე გამარჯვებული ვაჟებში დარჩა ღ. [illegible]ლაძე, რომელიც ყველაზე უფრო ბედულათ თამაშობდა და მასთან კარგათ ასრულებდა თავის როლს. საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა, [illegible] ახალ სცენის მოყვარეებს მეტ ძალ[ა], მეტ მუყაითობას სიყვარულს და გამარჯვებას სცენის საქმეებში.

ვალიკო.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის მახლობელ №-[illegible] დაადასტუროთ, რომ წერილი „პრობლ[ე]მის“ შესახებ, რომელიც მოთავსებულ იყო, 18 ანუ 19 ივნისის №-ში „ძვ[ე]ლის“ ფსევდონიმით მე არ მეკუთვნის.

საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არაფ[ე]რი გვაქვს თავსადიდებელი და თავსაქ[illegible]ბი: ჩვენ ვასრულებთ იმას, რასაც მოი[თ]ხოვს ჩვენი სულიერი ცდა.

ჩვენ გვსურს შრომა და არა თავის გ[illegible] მოჩენა!..

ამის და მიხედვით, გთხოვ, ბ. რედაქტორის წინაშე, გაზეთის საშვალებით ამხილოს ეს ცილისწამება, თითქოს [illegible] იმ ჯგუფს, სადაც მაქვს პატივი მუშაობისა, პრესის საშუალებით ვადიდებდე.*)

ღრმა პატივცემით დრამატიულ წრ[illegible] „პრობლემის“ რეჟისორი **ი. მოსიძე.**

— —

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ საშუალებით სამედიატორო სამართალში მიწვევს ს[illegible] წირის საზოგადოების კომისარი გიორგი გეწაძე, დიდის სიამოვნებით მივეგებები მისს პასუხს და ჩემის მხრით მედიატორეთ ვასახელებ მიხაილ ბოჭორიშვილს და სიმონ მეხუზლას, მხოლოდ, იმ პირობით, რომ საქმის გარჩევამდი დავსდოთ ხუთას ხუთასი მანეთი და საქმის გარჩევის შემდეგ მტყუანი პირის ხუთასი მანეთი იქნას კულტურულ საზოგადოების სასარგებლოთ და მედიატორის ყოველივე განაჩენი იქნეს გამოქვეყნებული გაზეთის საშვალებით. თუ ის ამ პირობით თანახმა არის ეს ყოველივე მაცნობოს ერთი კვირის განმავლობაში გაზეთის საშვალებით.

ჩემგან პასუხის დაგვიანება გამოიწვია გაზეთის დროებით შეჩერებამ.

ოკრიბელი მეთვალყურე.

## მადლობის გამოცხადება.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელმაც კეთილ ინება და ერთ დროული დახმარების სახით შემოწირეს ხრესილის სამკითხველოს:

ას-ასი მანეთი: პლატონ არჯევანიძემ და ვლადიმერ გარნოასკიმ. ხუთ—ხუთი თუმანი: ერმილე ბოჭორიშვილმა, თედო მესხმა, ლადიკო გეგელაშვილმა, ნიკო სირბილაძემ, ევგენი ჩაჩავამ, ლიზა გაბელაშვილმა, ვანო მიქაუტაძემ. სამ-სამი თუმანი: ისიდორე ქარქაშაძემ. კირილე ობოლაძემ, იოსებ თვალთვაძემ და მელიტონ ბუბუაშვილმა. ოც-ოცდა ხუთი მანეთი: . გალაქტიონ და გერონტი კოკელაძეებმა, აკაკი მერკვილაძემ და ლევანტი ქარქაშაძემ. ოც-ოცი მანეთი: პოლიევქტ ჟორჟოლაძემ და დომენტი შენგელიამ. თუთხმეტ-თუთხმეტი მანეთი: ნიკო დაუროვმა და ლევანტი მიხ. ქარქაშაძემ. თითო. თუმანი: არტემ ობოლაძემ, პლატონ ნიშნიანიძემ, ვარლამ მერკვილაძემ, კარპეზ ჯაშმა, პარმენ მერქვილაძემ, ალექსანდრე გვენეტაძემ და ერასტი ბრეგაძემ.

ხრესილის სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით.

ი. ქარქაშაძე.

*) რედაქცია ამოწმებს რომ წვენს გაზეთში „ძველის“ ფსევდონიმით დასტამბული წერილი ი. მოსიძეს არ ეკუთვნის.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.